

სკოპინგის დასკვნა N8

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსება) მოწყობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფი“ (ს/კ: 402345609);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 18.02.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფი“ (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიოში, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნორიოში, კერძო საკუთრებაში არსებულ 1000 მ² ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 81.09.31.431), რისთვისაც შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფს“ დაწყებული აქვს შესყიდვის პროცედურები, რის შემდეგაც დაგეგმილია მიწის ნაკვეთისთვის არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მინიჭება. საწარმოს ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-499501, Y-4623747; X-499513, Y-4623728; X-499468, Y-4623721; X-499478, Y-4623701. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ნორიო) დაშორებულია 725 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 522 მეტრში განთავსებულია შპს „ჯიარჯის“ ასფალტის საწარმო, რომელზეც 2017 წელს გაცემულია №63 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-977; 23.10.2020).

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის, განხილულია საპროექტო ტერიტორიის, უმოქმედობის (ნულოვანი) და ინსინერატორის ტიპის ალტერნატივები. განხილული იქნა საპროექტო ტერიტორიების სამი ალტერნატიული ვარიანტი. კერძოდ, I ალტერნატივა მდებარეობს სოფ. ნორიოში, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.09.31.431), II ალტერნატივა - სოფ. ნორიოს

სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, ქ. თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.09.24.042), ხოლო III ალტერნატივა მდებარეობს სოფ. ნორიოს სამხრეთით კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.09.32.745). ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის (მათ შორის, გარემოსდაცვითი, ტექნიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხების გათვალისწინებით) შედეგად უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას. რაც შეეხება ინსინერატორის ტიპის ალტერნატივებს, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, HURIKAN – 1000 და ИУ-БК-2000 დანადგარებს შორის, გარემოსდაცვითი, ასევე უსაფრთხო ოპერირების გათვალისწინებით, არჩევანი შეჩერდა ИУ-БК-2000 დანადგარის მოწყობის ალტერნატივაზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია: ინსინერატორის განთავსების ფარდულის ტიპის შენობის, ნარჩენების დროებითი დასაწყობების სივრცის (ფარდულის ტიპის შენობა), სამაცივრე დანადგარის, წყალმომარაგების სისტემის, მიწისქვეშა რეზერვუარის, ჭაბურღილის, ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის დასაწყობებისთვის რკინა-ბეტონის სარკოფაგის და მომსახურე პერსონალის კონტეინერის განთავსება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინსინერაციის დანადგარი განკუთვნილია სამრეწველო, სამედიცინო, ბიოლოგიური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების თერმული გაუვნებლობისთვის. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ინსინერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების კოდები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად გაერთიანებულია შემდეგ ქვეჯგუფებში: **02 01** (ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება სასოფლო-სამეურნეო, მეზღვეობის, აქვაკულტურის, მეტყევეობის, სამონადირეო და თევზჭერისგან), **02 02** (ნარჩენები ხორცის, თევზისა და სხვა ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების მომზადებისა და დამუშავებიდან), **02 03** (ხილის, ბოსტნეულის, მარცვლოვანი კულტურების, საკვები ცხიმების, კაკაოს, ყავის და თამბაქოს მომზადებისა და დამუშავების ნარჩენები; საკონსერვო წარმოების ნარჩენები; საფუარისა და საფუარის ექსტრაქტის წარმოება, მელასას მომზადება და ფერმენტაცია), **02 04** (შაქრის დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები), **02 05** (რძის პროდუქტების წარმოების ნარჩენები), **02 06** (საცხობი და საკონდიტრო წარმოების ნარჩენები), **02 07** (ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების წარმოების ნარჩენები (გარდა ყავის, ჩაისა და კაკაოსი)), **03 01** (ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან), **03 03** (ნარჩენები ცელულოზის, ქაღალდისა და მუყაოს წარმოებისა და დამუშავებიდან), **04 01** (ტყავისა და ბეწვეულის წარმოების ნარჩენები), **04 02** (საფეიქრო მრეწველობის ნარჩენები), **05 01** (ნავთობური შლამი და მყარი ნარჩენები), **05 06** (ნახშირის პიროლიზური გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები), **06 05** (ჩამდინარე წყლების დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ლექი), **07 01** (ძირითადი ორგანული ქიმიური ნაერთების წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **07 02** (პლასტმასის,

სინთეტური რეზინისა და ხელოვნური ბოჭკოვანი მასალების წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **07 03** (ორგანული საღებავებისა და პიგმენტების წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (გარდა 06 11)), **07 04** (ორგანული პესტიციდების წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (გარდა 02 01 08 და 02 01 09), ხის შენარჩუნების აგენტები (გარდა 03 02) და სხვა ბიოციდები), **07 05** (ფარმაცევტული წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **07 06** (ცხიმების, საპოხი მასალის, სარეცხი მასალის, დეზინფექტანტების, საპნისა და კოსმეტიკის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **07 07** (ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქციის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებიც სხვა კატეგორიაში გათვალისწინებული არ არის), **08 01** (საღებავების და ლაქების წარმოების, მიღების, მიწოდების, გამოყენებისა და მოცილების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **08 03** (საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **08 04** (წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების (მათ შორის, წყალგაუმტარი პროდუქცია) წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **10 01** ნარჩენები ელექტროსადგურებიდან და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოებიდან (გარდა 19)), **10 02** (ნარჩენები შავი მეტალურგიისა და ფოლადსახმელი ინდუსტრიიდან), **10 03** (ნარჩენი ალუმინის თერმული მეტალურგიიდან), **11 01** (თხევადი ნარჩენები და ნალექები ლითონის დამუშავებისა და დამფერავი საშუალებებით ლითონის ზედაპირის დამუშავებიდან (მაგ., გაღვანური დამუშავება, თუთიით დაფერვა, მჟავით დამუშავება, გრავირება, ფოსფატით დამუშავება და ტუტით გაუცხიმოვნება)), **12 01** (ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას), **13 05** (ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორის შიგთავსი), **13 07** (თხევადი საწვავის ნარჩენები), **15 01** (შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)), **15 02** (აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი), **16 01** (განადგურებას დაქვემდებარებული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, მოწყობილობები) და მწყობრიდან გამოსული და სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული ნარჩენები (13, 14, 16 06 და 16 08-ს გარდა)), **16 03** (არასტანდარტული/ სპეციფიკაციასთან შეუსაბამო (საწარმო) პარტიები და გამოყენებული პროდუქცია), **16 07** (ტრანსპორტირებისა და შესანახი რეზერვუარების გაწმენდის ნარჩენები (გარდა 05 და 13)), **16 10** (წყლის თხევადი ნარჩენები, რომლებიც უნდა გადამამუშავდეს ცალ-ცალკე), **17 02** (ხე, მინა და პლასტმასი), **17 03** (ასფალტი, ფისი და ფისების შემცველი პროდუქტები), **17 04** (მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)), **18 01** (ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში), **18 02** (ნარჩენები კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ცხოველებში), **19 01** (ნარჩენების ინსინერაციის/დაწვის და პიროლიზის ნარჩენები), **19 02** (ნარჩენები წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენების სპეციფიკური ფიზიკო/ქიმიური დამუშავების

შედეგად (მაგალითად, დექრომირება, ნეიტრალიზაცია, დეცინანიდიზაცია)), **19 04** (მინის ნარჩენები და მინის მიღების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები), **19 05** (მყარი ნარჩენების აერობული დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები), **19 06** (ნარჩენების ანაერობული დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები), **19 08** (ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოს ნარჩენები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სხვა თავებში), **19 09** (ნარჩენები სასმელი წყლისა და საწარმოო წყლის წარმოებიდან), **19 11** (ნარჩენები ნავთობის რეგენერაციისგან), **19 12** (ნარჩენები მექანიკური დამუშავებიდან (მაგალითად დახარისხება, დამსხვრევა, დაპრესვა, გრანულირება), რომლებიც არ არის განსაზღვრული აღნიშნულ კატეგორიაში), **19 13** (ნარჩენები ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლის რემედიაციისგან/აღდგენისგან) და **20 01** (განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)).

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია კომპანია „Bonkraft“-ის „NY-BK-2000“ მოდელის 350 კგ/სთ წარმადობის ინსინერატორის დანადგარის მოწყობა. ინსინერაციის ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს დანადგარის წინასწარ 760°C ტემპერატურამდე გაცხელებას, ნარჩენების ჩატვირთვას, წვის ორსაფეხურიან პროცესს (წვის კამერაში 760°C და კმაწვის კამერა 900–1200°C-ზე), დანადგარის გაგრილებას და წვის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის მიწისქვეშა რკინა-ბეტონის სარკოფაგში მუდმივ განთავსებას. წვის ციკლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ნარჩენების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესაბამისად, რომელიც მერყეობს დაახლოებით 10–30 წუთის ფარგლებში. საპროექტო ინსინერატორის შემადგენლობაში იქნება: წვის კამერა; კმაწვის კამერა; 3 ერთეული წვის კამერის სანთურა; კმაწვის კამერის სანთურა; ნაცრის კოლექტორები; ვენტილატორი; კონტროლთა (ქვიშით გავსებული); ჩამკეტი; მართვის პულტი; 2 ერთეული თერმოელემენტი; საკვამლე მილი; ჯალამბარი; ჩასატვირთი მოწყობილობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 24 საათიანი (სამ ცვლიანი) სამუშაო რეჟიმით, სადაც წვის პროცესი განხორციელდება დღეში 16 საათი, ხოლო 8 საათი მოხდება დანადგარის გაგრილება. გადამამუშავებული ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა იქნება 1680 ტ/წელ (1680000 კგ/წელ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში დასამუშავებელი ნარჩენების სახეობების და რაოდენობების შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიურ პროცესში საწვავად დაგეგმილია ბუნებრივი აირის გამოყენება. ინსინერაციის დანადგარში ბუნებრივი აირის წვის ხარჯი იქნება 384000 მ³/წელ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობების მოწყობა, კერძოდ: ინსინერატორი და ნარჩენების დასაწყობების უბანი განთავსებული იქნება ფარდულის ტიპის შენობაში, ხოლო პერსონალის ოფისი კონტეინერული ტიპის ნაგებობაში. ასევე, გათვალისწინებულია ინსინერაციის შედეგად

წარმოქმნილი ნაცრის განთავსებისათვის სარკოფაგის, მაცივარ დანადგარის და წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს მოწყობის პროცესი არ ითვალისწინებს მასშტაბური სამუშაოების ჩატარებას. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს. სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნება: ექსკავატორი, ავტოთვითმცლელი, ამწე მექანიზმი და ბეტონმზიდი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და ტერიტორიის მორწყვის მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყლისათვის გათვალისწინებულია 5 მ³ ტევადობის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა, ხოლო ტექნიკური მიზნებისთვის (ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით, ტერიტორიის მოსარწყავად, დასუფთავებისთვის) გათვალისწინებულია წყლის ჭაბურღილის მოწყობა, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. ინსინერაციის ტექნოლოგიური პროცესი არ საჭიროებს წყლის გამოყენებას, შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ იქნება. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვისთვის გათვალისწინებულია 20 მ³ ტევადობის ჰერმეტიული სეპტიკური რეზერვუარის მოწყობა, რომლის განტვირთვა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ინსინერატორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება ნაცარი და საყოფაცხოვრებო მუნიციპალური ნარჩენები. ნარჩენების ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცარი, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად გაერთიანებული იქნება 10 01 14* (ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) და 10 01 15 (ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (არ ვხვდებით 10 01 14* პუნქტში)) ჯგუფებში. წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობა იქნება 84000 კგ/წელ. ღუმელიდან ამოღებისას ფერფლი განთავსდება პოლიეთილენის ტომრებში, შემდეგ 100 ან/და 200 ლიტრი მოცულობის, სპეციალურ, ჰერმეტიულ კონტეინერებში. ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება ინსინერატორის შენობაში, სპეციალურად გამოყოფილ სექციაში, ხოლო მუდმივ დასაწყობებას დაქვემდებარებული ნაცრის განთავსება გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიაზე 217 მ³ ტევადობის მიწისქვეშა რკინა-ბეტონის სარკოფაგში (62 მ² ფართობი, სიმაღლე 3.5 მ). სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ცალ-ცალკე მოხდება კვების პროდუქტების და სხვა არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია და ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლის შეგროვება. არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის შემდეგ მიღებული ფერფლი დაკლასიფიცირდება, როგორც არასახიფათო ნარჩენი, ხოლო სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი, მისი შემადგენლობის დადგენამდე განხილული იქნება, როგორც სახიფათო ნარჩენი. შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით. თუ ნარჩენი ჩაითვლება სახიფათო ნარჩენად მისი განთავსება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილ სარკოფაგში, ხოლო არასახიფათოობის დადგენის შემთხვევაში

განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე რაც შეეხება წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენებს, მათი რაოდენობა წელიწადში შეადგენს 1800 კგ-ს, რომელიც შეგროვდება კონტეინერში და გადაეცემა მუნიციპალურ სამსახურს, ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, ნაცრის შემდგომი მართვის შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსება) მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნასთან და ხმაურის გავრცელებასთან. ობიექტის მოწყობის ეტაპი არ გულისხმობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებულია ინსინერატორის ექსპლუატაციისას (წვის პროცესში). ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოხდება ინსინერატორის საკვამლე მილიდან, რომლის სიმაღლე შეადგენს 15 მეტრს. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებულია იქნება დანადგარის მუშაობასთან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, უახლოეს დასახლებამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით დანადგარების ექსპლუატაციის პროცესში ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 128 მ³ მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრებისთვის, ხოლო დარჩენილი განთავსდება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება დაახლოებით 105.75 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. ანგარიშის თანახმად, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება სამშენებლო მოდენაზე გამოყოფილ უბანზე და სამუშაოების დამთავრების შემდეგ, გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ტერიტორიიდან უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი (საგურამო - GE0000047) და თბილისის ეროვნული პარკი დაშორებულია დაახლოებით 5.4 კმ-ით. საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს ტყით

დაფარულ არეალს. ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით წარმოდგენილია დაახლოებით 1.6 ჰა ფართობის ბუნებრივი ხევი, რომლის ფერდობები დაფარულია მცენარეული საფარით. საწარმოს მოწყობა მოხდება ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც მცენარეული საფარი და ცხოველთა საბინადრო ადგილებისთვის წარმოდგენილი არ არის. საპროექტო არეალში შესაძლებელია შეგზვდეს ქვეწარმავლების და ამფიბიების 15 სახეობა, მათ შორის, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული - ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის ობიექტები, როგორცაა ასფალტის საწარმო, მეტალოპლასტმასის ნაკეთობების საწარმო, ავტოსახელოსნო. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, კუმულაციური ზემოქმედების რისკები დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაეგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 13 მარტს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: გარდაბანში არსებულ ნაგავსაყრელის მიერ გამოწვეული ზემოქმედებით მოსახლეობის უარყოფით გამოცდილებას, საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული კერძო მესაკუთრებთან კომუნიკაციის/შეთანხმების საჭიროებას, ალტერნატიული ტერიტორიის განხილვას/შერჩევას, სუნის გავრცელებას, სამედიცინო ნარჩენების გადაუშავებას, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოსალოდნელ წინააღმდეგობასა და ინფორმაციის გავრცელებას, საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
 2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
 3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
 4. გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა-დახასიათება;
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ინსინერატორის დეტალური აღწერა, ტექნოლოგიური სქემის აღწერითა და წარმადობების (ინსინერატორის დღიური, წლიური და საათობრივი წარმადობები, სიმძლავრე, მასშტაბი) მითითებით, შესაბამისი თანმიმდევრობით. ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურის და დანადგარების აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ინსინერატორის საპასპორტო ოფიციალური მონაცემები (წვის მაქსიმალური ტემპერატურა, ჩატვირთვის რაოდენობა და სხვ.). ინსინერატორის ტექნიკური მონაცემები სრულ თანხვედრაში უნდა იყოს „ტექნიკური რეგლამენტის – ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის №325 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- საწარმოს გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ინსინერატორის და ყველა მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა/დანადგარებით (მათ შორის, დამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილები), გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ახალი გზების მოწყობის (საჭიროების შემთხვევაში) შესახებ;
- ინფორმაცია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების საწარმომდე ტრანსპორტირების შესახებ, ტრანსპორტირების სქემისა და პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, მარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია ინსინერაციის საწარმოში გამოყენებული საწვავის ტიპის შესახებ (საწვავის წლიური დანახარჯის მითითებით). ამასთან, შერჩეული საწვავის გამოყენების გარემოსდაცვითი უპირატესობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- ინფორმაცია საპროექტო საწარმოს წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შესახებ, ამასთან ჭაბურღილის გამოყენების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების, ასევე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საკვამლე მილ(ებ)ის პარამეტრების შესახებ;

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ;
- სამშენებლო სამუშაოებისა და გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

5.1 ინსინერაციას დაქვემდებარებულ ნარჩენებთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს:

- გადამუშავებული ინფორმაცია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების კოდებისა და დასახელებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების („სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“) შესაბამისად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას დაქვემდებარებული ნარჩენებისა და სხვა რეციკლირებადი ნარჩენების გათვალისწინებით;
- წამოდგენილი უნდა იქნას ნარჩენების მართვის კოდექსის II დანართის შესაბამისად;
- დეტალური ინფორმაცია დასამუშავებელი/ინსინერაციის მიზნით გათვალისწინებული ნარჩენის წარმოშობის წყაროსა და რაოდენობის შესახებ;
- მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ინსინერატორში ნარჩენების ჩატვირთვისა და ნაცრის გადმოღების პროცესის შესახებ. ასევე, ინფორმაცია ინსინერატორის აირდამჭერი ფილტრების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინსინერაციისათვის განკუთვნილი და ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნის, ასევე ე.წ. სარკოფაგის ობიექტის დეტალური აღწერილობა („სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების

შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 და „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილებების შესაბამისად) და პირობები (დროებითი განთავსების პერიოდი, ტემპერატურული რეჟიმი, დაგროვების მაქსიმალური რაოდენობა და სხვ.);

- წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული/დაგეგმილი შენობა-ნაგებობების ფოტომასალა (დაგეგმილის შემთხვევაში - ვიზუალური ნახაზი). ასევე, ფარდულის ტიპის შენობების შესახებ დეტალური ინფორმაცია (აღწერილობა);
- ინფორმაცია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი (ნაცარი/ფერფლი და სხვა თითოეული კოდის ნარჩენისთვის) შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი აღდგენა/განთავსების კოდისა და ნებართვის მქონე ორგანიზაციის მითითებით). ამასთან, ინფორმაცია მიღებული ნაცრის/ფერფლის მონიტორინგის შესახებ, კერძოდ რა პერიოდულობით მოხდება ნაცრისთვის (ფერფლის) ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება და მისი ტერიტორიიდან გატანა;
- ინფორმაცია, როგორ გამიჯნავს კომპანია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენ ფერფლს ერთმანეთისგან და რა ღონისძიებების გატარებაა დაგეგმილი, რომ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები ერთმანეთთან შემხებლობაში არ იყოს;

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები გაბნევის ანგარიში;
 - ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა სახეობები (მათ შორის: მძიმე მეტალები, კადმიუმი, სპილენძი, ტყვია, ვერცხლისწყალი და ა.შ.);
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე (დასახლებული პუნქტის მიმართულებით);

- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- ზედაპირული წყლის ობიექტში წყლის ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური კვლევა ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. გარდა ამისა, უნდა შეფასდეს ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებით;
- ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;
- საწარმოს მშენებლობა უნდა განხორციელდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნით ან/და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ (ნარჩენების მართვის გეგმა) ინფორმაცია ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შესახებ;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში არსებული და დაგეგმილი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და სხვ.). კუმულაციური ზემოქმედება სრულყოფილად იქნეს შეფასებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;

- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-4 მუხლის თანახმად, მიზანშეწონილი არ არის შემდეგი კოდებით აღნიშნული ნარჩენების ინსინერაცია: 02 01 01; 03 01 01; 03 03 01; 07 02 13; 08 03 19*; 13 05 06*; 13 05 07*; 13 05 08*; 13 07 03*; 15 01 01; 15 01 02; 15 01 03; 15 01 05; 15 01 06; 15 01 09; 16 01 19; 17 02 01; 17 02 03; 20 01 10; 20 01 25; 20 01 26*; 20 01 38; 20 01 39, ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს იმ გარემოების/აუცილებლობის განმარტება/საფუძვლიანი დასაბუთება, თუ რატომ უნდა განხორციელდეს რეციკლირებადი ნარჩენების ინსინერაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული ინფორმაცია ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის კოდისა და დასახელების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით („სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“) დამტკიცებული წესის შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნაცრის სარკოფაგში მუდმივი განთავსება. სახიფათო ნარჩენის მუდმივი განთავსების შემთხვევაში უნდა მოეწყოს სახიფათო ნარჩენის ნაგავსაყრელი და მიღებული იქნას შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში აღნიშნულ ინფორმაციას არ მოიცავს). შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია ნაცრის მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენის (სახიფათო ნაცარი) საბოლოო განთავსების მიზნით ნაგავსაყრელის მოწყობის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელმა აღნიშნული უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების („ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი) მოთხოვნებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიას. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;

- წარმოდგენილი Shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარეობს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, რაც გზმ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას, ასევე სიტუაციურ სქემაზე ინფორმაციის სრულად ასახვას, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „აღნიშნული დანადგარი განკუთვნილია სამრეწველო, სამედიცინო, ბიოლოგიური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მაღალტემპერატურული თერმული გაუვნებლობისთვის“. ამასთან, 2.5.1. ცხრილის თანახმად, ინსინერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების ნუსხა მოიცავს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად, 18 ჯგუფში (ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად)) გაერთიანებულ ნარჩენებს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საჯარო განხილვაზე შპს „ო.დ.კ. ჯგუფის“ წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ საწარმო გადაამუშავებს სუპერმარკეტების ქსელებიდან შემოტანილ ვადაგასულ პროდუქტს და არა სამედიცინო ნარჩენებს. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- წარმოდგენილი Shp-ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაში მისასვლელი გზის ბუფერი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული/კორექტირებული უნდა იყოს მისასვლელი გზის ბუფერი ან/და წარმოდგენილი იქნას მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „საწარმოში, ცალ-ცალკე მოხდება კვების პროდუქტების და სხვა არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია და ცალ-ცალკე შეგროვდება ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი.“ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ნარჩენების (მათ შორის, მათი ცალ-ცალკე) დამუშავების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის 2.5 ქვეთავსა და ცხრილში 2.5.1 საწარმოში საინსინერაციოდ შემოტანილი ნარჩენების სახეობების შესახებ (კერძოდ, 04 კოდით გაერთიანებული ნარჩენები) ინფორმაცია არ შეესაბამება ერთმანეთს. შესაბამისად, გზმ-ის ეტაპზე

წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია დამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშის სხვადასხვა ქვეთავებში წარმოდგენილია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გადამუშავებული ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა იქნება 1680 ტ/წელ (1680000 კგ/წელ), თუმცა არ არის მოცემული რა რაოდენობის სახიფათო და რა რაოდენობის არასახიფათო ნარჩენების გადამუშავება იგეგმება საწარმოში, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნორიოში, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსება) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.